

დადგენილება №ცვ-0794-20
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

12 მარტი, 2020 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის იურისტი ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 12 მარტი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ნელი ხაბულიანი, პირადი №60001021325, დაბ. 1958 წლის 17 ივნისს, მის. ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. №49, ბინა №26, ფაქტ. მის. ზესტაფონის მუნიციპ-ტი, სოფ. კვალითი.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2020 წლის 11 მარტს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითში, აბონენტ ავთო გაბრიჭიძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ ნელი ხაბულიანს ელექტრომრიცხველების კარადაში ავტომატ-ამორთველზე მრიცხველის გვერდის ავლით დაერთებული ჰქონდა 3 კვ.მმ კვეთის სპილენძის სადენი, რომელიც შედიოდა ეზოში არსებულ დამხმარე სათავსოში და შემდეგ საცხოვრებელ სახლში. შემოწმების დროს მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერგიას არ აღრიცხავდა და დატაცებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენდა 5,3 ამპერ დენს, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმ დღესვე შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. ნელი ხაბულიანის მიმართ 11.03.2020წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №008390 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი და განმარტავს, რომ დამხმარე სათავსოში გადაიყვანეს დენი და აღმოჩნდა, რომ შეცდომით იყო გაკეთებული, რაც არ იცოდა და ითხოვს პატიებას. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. ნელი ხაბულიანი არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 11.03.2020წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №1579368, რომლითაც დასტურდება ნელი ხაბულიანის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

(სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი), რომელთა მეშვეობით დგინდება ნელი ხაბულიანის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც ნელი ხაბულიანმა მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 18.09.2008 წ. №20 დადგენილების მე-8 მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 17.09.2010 წ. RU №2010009 წესით, 26.06.2019 წ. OR №2019034 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი ნელი ხაბულიანი, პირადი №60001021325, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე